



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #58 ოქტომბერი, 2017

გამოშვებაში წაიკითხავთ

1 მეორე ეროვნული კიბეროლიმპიადა - კიბერკუბი 2017

3 "მონაცემთა გაცვლის სააგენტო" კიბერუსაფრთხოების ჯგუფის შექმნაზე იწყებს მუშაობას

4 საქართველომ კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში მე-2 პოზიცია დაიკავა

5 ელექტრონული პარტიორობის კონფერენცია ტალინში

5 უმრავ ნივთებზე ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების არქივირების პროექტი დასრულდა

6 GITI 2017

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ მეორე ეროვნული კიბეროლიმპიადა - „კიბერკუბი 2017“ ჩატარდა




27 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს ორგანიზებით სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ მეორე ეროვნული კიბეროლიმპიადა - „კიბერკუბი 2017“ გაიმართა. კიბეროლიმპიადის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და პუბლიკიზაცია, ასევე იმ

პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც ფლობენ შესაბამის ტექნიკურ ცოდნასა და კომპეტენციას.

კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეეძლო კიბერუსაფრთხოებით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას, ვისაც არ შესრულებია 25 წელი. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა, მოთხოვნების შესაბამისად, წინასწარ ჩამოაყალიბეს მაქსიმუმ 3 წევრისგან შემდგარი გუნდი.

ეროვნულ კიბეროლიმპიადაზე დაისვა კიბერუსაფრთხოების გავრცელებული შეტევის ვექტორების ამოცანები, რომელთა გადაჭრაშიც ერთმანეთს გუნდებმა დაყოფილი სტუდენტები ეჯიბრებოდნენ.

ოლიმპიადის მონაწილეებმა სხვადასხვა კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოს შედეგად გააანალიზეს და გამოიკვლიეს 10 განსხვავებული შემთხვევა და უპასუხეს 50 შეკითხვას (თითოეული შემთხვევის ირგვლივ სხვადასხვა სირთულისა და წონის 10 შეკითხვა), მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით კი დაითვალა საბოლოო სტატისტიკა. ეროვნული კიბეროლიმპიადა ერთი დღე გრძელდებოდა (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „კიბეროლიმპიადის ჩატარების იდეამ საერთო მიზნის გარშემო გაგვყავდა - ხელი შევუწყოთ ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი თაობის სპეციალისტების მომზადებას კიბერშეტევების კრიზისული სიტუაციებისთვის, რაც გაზრდის ქვეყნისა და, შესაბამისად, მოქალაქეების დაცულობის დონეს ამ მიმართულებით. 2016 წლის აპრილში ჩვენ უკვე გავმართეთ ამ ფორმატის პირველი ღონისძიება, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სწორედ ამ ინტერესის გათალისწინებით გადავწყვიტეთ, რომ ღონისძიება ტრადიციად ვაქციოთ და ყოველწლიურად მივცეთ ახალგაზრდებს საშუალება გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები“, - აცხადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ნიკოლოზ გაგნიძე**.

ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მსურველებს მოეთხოვებოდათ საბაზისო ცოდნის ფლობა შემდეგ სფეროებში: ნეტვორკინგი, კრიპტოგრაფია და ვებ დეველოპმენტი (Networking, Scripting, Web development).

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. კიბეროლიმპიადის მეშვეობით სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, ურთიერთშეჯიბრის პირობებში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაიღრმავონ გამოცდილება“, - დასძენს **ნიკოლოზ გაგნიძე**.

ეროვნულ კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება 26 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. ღონისძიების დანიშნულების უკეთ გაგნობის მიზნით, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებთან შედგა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა, ასევე სოციალური ქსელში მუშაობდა სპეციალურად შექმნილი გვერდი და ონლაინ კონსულტაციის არხი.

ოლიმპიადის გამართვაში პარტნიორების მონდომებასა და დაინტერესებას დიდი წვლილი მიუძღვის. წელს ღონისძიების პარტნიორები იყვნენ: „იუ ჯი თი“ (UGT), „ორიენტ ლოჯიკი“, „აი ეს ეს პი“ (ISSP), „გრინნეტი“ (GREENNET), „ჰუავეი“ (Huawei), სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ნატოს“ პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი მეორე ეროვნულ კიბეროლიმპიადას.



„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კიბერუსაფრთხოების ჯგუფის შექმნაზე იწყებს მუშაობას



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ინიციატივით თელავში კიბერუსაფრთხოების ფორუმი გაიმართა, რომელზეც კიბერუსაფრთხოების სპეციალიზებული ჯგუფის შექმნაზე იმსჯელეს.

აღნიშნული ჯგუფი ინფორმაციული ტექნოლოგიების დაცულობის, ინფორმაციული უსაფრთხოების დონის გაზრდისა და კიბერინციდენტებზე სწრაფი რეაგირებისთვის იმ რესურსებს გააერთიანებს, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ფარგლებშია თავმოყრილი.

დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ უწყების წინაშე კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული არერთი გამოწვევა დგას. სწორედ ამ გამოწვევებთან უფრო ეფექტიანად გასამკლავებლად გადაწყდა მობილური და კარგად მომზადებული ჯგუფის შექმნა.

„საინფორმაციო სივრცის დაცვისა და კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებისთვის შესაბამისი მექანიზმების არსებობა და შეთანხმებული მოქმედება უმნიშვნელოვანესია. ამის საპირისპიროდ, ჩვენთან ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რესურსები მიმოფანტულია, რაც, ბუნებრივია, ართულებს ამ რესურსების თავმოყრასა და შემდგომ მათ კოორდინაციას. უსაფრთხოების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ მიერ გაცხადებული ინიციატივა გულისხმობს ამ საკითხებზე მომუშავე ადამიანური რესურსების გაერთიანებას, ასევე სწრაფი და მოქნილი მობილიზების სქემისა და მექანიზმის შექმნას. ჩვენ სწორედ ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტების ერთ სივრცეში თავმოყრას ვგეგმავთ“, - აცხადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ნიკოლოზ გაგნიძე**.

ინფორმაციული უსაფრთხოების კავშირში გაერთიანებული სუბიექტები კრიზისულ სიტუაციებში სწრაფად და შეთანხმებულად მოქმედებისთვის სპეციალურ მომზადებას გაივლიან.

კერძოდ, ამ მიზნით შეიქმნება პოტენციური საფრთხეების მოდელეები და გაიწერება მათზე რეაგირების ერთიანი სტანდარტები; განხორციელდება ამ სტანდარტების რეალურ რეჟიმში ტესტირება; დაიგეგმება ინციდენტების პრევენციის ღონისძიებები და სხვა.

ყოველივე ეს უზრუნველყოფს კრიზისული სიტუაციების დროს გუნდურ და შეთანხმებულ მოქმედებას, რაც ინციდენტების დროულად აღმოფხვრისთვის აუცილებელი პირობაა.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ინიციატივით გამართულ ფორუმში მონაწილეობდნენ საჯარო (მათ შორის უშიშროების საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს) და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ასევე მოწვეული კიბერსპეციალისტები.

საქართველომ კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში მე-2 პოზიცია დაიკავა



საქართველოს წარმატების შესახებ ცნობილი გახდა ნაციონალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის (NCSI) კვლევის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ევროკავშირის დაკვეთით 29 ქვეყანაში ჩატარდა.

აღნიშნული მაჩვენებლით ქვეყანა პირველ პოზიციას იკავებს აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის და უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: გერმანია, ნიდერლანდების სამეფო, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და დანია.

ინდექსი სახელმწიფოების მიერ კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში

გატარებულ ღონისძიებებს 12 მიმართულებით აფასებს; მოწმდება ქვეყნების მზადყოფნა მნიშვნელოვანი კიბერუსაფრთხოებისა და შეტევების პრევენციისა თუ ფართომასშტაბიანი კიბერკრიზისების თავიდან აცილების საკითხში. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ის გამონაკლისი, რომელსაც არცერთ თემატურ მიმართულებაში არ მიუღია ნულოვანი შეფასება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის მთავრობის ერთიან და კომპლექსურ მიდგომას კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

ინდექსის ფარგლებში შეფასდა ქვეყანაში შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების არსებობა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი უწყებების მუშაობის ეფექტურობა, მათ შორის, ინციდენტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება, კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მაქსიმალური დაცულობის უზრუნველყოფა, კიბერდანაშაულთან ბრძოლის მექანიზმის არსებობა, ელექტრონული მომსახურებების, ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ხელმოწერისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული კამპანიების წარმართვა და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე შედეგიანი საერთაშორისო თანამშრომლობა.

შეფასებული თემატური მიმართულებებიდან საქართველომ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა 5 მათგანში:

- კიბერუსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობა;
- ეროვნული დონის კიბერშეტევების ანალიზის შესაძლებლობა;
- ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობა;
- კრიტიკული ინფორმაციული სისტემებისა და მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესაძლებლობა.

კიბერუსაფრთხოების გლობალური ინდექსი შემუშავებულია ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის მიერ ევროკავშირის მხარდაჭერითა და საერთაშორისო მეთოდოლოგიების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საქართველომ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) კიბერუსაფრთხოების ინდექსში ევროპაში – მე-2, ხოლო საერთაშორისო დონეზე მე-8 ადგილი დაიკავა.

ელექტრონული პარტნიორობის კონფერენცია ტალინში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ იურიდიული სამმართველოს უფროსმა, ნატა გოდერძიშვილმა 4 ოქტომბერს ტალინში გამართულ ელექტრონული პარტნიორობის კონფერენციის (Trust in e-governance in Eastern Partnership countries) მონაწილეებს გააცნო საქართველოს წარმატებული გამოცდილება კიბერუსაფრთხოების სფეროში, კერძოდ თუ რა ღონისძიებები ჩაატარა საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც 10 საუკეთესო კიბერუსაფრთხო ქვეყანად აღიარებისთვის.

პრეზენტატორმა კიბერუსაფრთხოების სფეროში საქართველოს კარგი პრაქტიკის შვიდი ხელშემწყობი ფაქტორი დაასახელა: კიბერუსაფრთხოების ინიციატივების სტრატეგიულ და პოლიტიკურ მოვლენებთან თანხვედრა; ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მოწყობა; აღსრულებადი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა; კიბერუსაფრთხოების პროფესიონალების გუნდის ჩამოყალიბება; ნდობაზე დაფუძნებული კერო-საჯარო პარტნიორობის დამყარება; საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობითი კავშირების გაძლიერება; გათვითცნობიერებული ინფორმაციული საზოგადოების შექმნის ხელშემწყობა. პრეზენტაციის დროს განხილული იყო უსაფრთხოების მასტიმულირებელი ფაქტორები, ხელშემწყობი ჩარჩოები, კონკრეტული წარმატებული მაგალითები და ამჟამინდელი პრაქტიკული გამოწვევები. საქართველოს პრაქტიკამ დიდი მოწონება და გამოხმაურება დაიმსახურა, როგორც მონაწილეების, ისე მედია წარმომადგენლების მხრიდან.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენელმა პრეზენტაციასთან ერთად მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში თემაზე - რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო დონის ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნიდან.

ცნობისათვის, საქართველომ 2017 წელს მე-8 ადგილი დაიკავა ITU-ს გლობალურ კიბერუსაფრთხოების ინდექსში, ხოლო ეროვნულ კიბერუსაფრთხოების ინდექსში (NCSI) კი - მე-2 პოზიცია.

უძრავ ნივთებზე ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების არქივირების პროექტი დასრულდა



საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უძრავ ნივთებზე რეგისტრირებულ მონაცემებზე ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების არქივირების პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით დაასრულა.

ამიერიდან, ნებისმიერ რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მონაცემების სრული ისტორია ერთიან ელექტრონულ ბაზაშია განთავსებული, რაც ერთიანი სარეგისტრაციო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მონაცემთა ბაზების სრულყოფას, ზუსტი სტატისტიკის წარმოებას,

სწრაფ და ხარისხიან რეგისტრაციას უწყობს ხელს (გაგრძელება გვ. 6).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5) ელექტრონული სააღრიცხვო ბარათი შემდეგ ინფორმაციას მოიცავს: სამართლებრივად ვის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება, სხვადასხვა დროს ვინ იყო მისი მფლობელი, რა ვალდებულებებით იყო და არის დატვირთული (იპოთეკა, იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი..) და ა.შ. სააღრიცხვო ბარათებს საჯარო რეესტრის გარდა თავიანთ საქმიანობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიც გამოიყენებენ.

საჯარო რეესტრის არქივირების პროექტს მასშტაბური სახე 2014 წელს მიეცა და მასში, დამატებით 100 თანამშრომელი დასაქმდა. პროექტის ფარგლებში, სააგენტოს ფილიალებიდან სულ 60 869 ბაინდერი დამუშავდა.

GITI 2017



საქართველოს IT ინოვაციების ღონისძიება

GITI 2017



პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და
კიბერუსაფრთხოებისთვის

კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მე-10
საიუბილეო რეგიონული კონფერენცია/დაჯილდოების ცერემონია

ორგანიზატორები:

ICT ბიზნეს საბჭო
სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“

16-17 ნოემბერი, 2017
სასტუმრო „ჰოტელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“
თბილისი, საქართველო

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მე-10 საიუბილეო რეგიონული კონფერენცია „GITI 2017“

სარეგისტრაციო ფორმა A: დამსწრეების, გამომსვლელებისა და გამოფენისთვის:
<https://form.jotform.me/72785286241463>

სარეგისტრაციო ფორმა B: საკონკურსო IT პროექტებისთვის:
<https://form.jotform.me/72785860641465>

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ
საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ
გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება
მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში
მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი
ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე:
www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს
საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ